აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 26

21 სექტემბერი 2012 წელ ქ. ბათუმი

საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ წარმომადგენლების საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

2012 წლის 20 სექტემბერს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ №79 ბათუმის საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლებმა გურამ სალაძემ და ვლადიმერ ხუბულავამ მომართეს უმაღლეს საარჩევნო კომისიას საჩივრით და მოითხოვეს ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის დავალდებულება გასცეს ინფორმაცია გადმოსცა თუ არა საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო (გასამხედროებული) ძალების და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების სამხედრო მოსამსახურეების სია 2012 წლის 1 ივლისის მდგომარეობით.

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 1 ერთი კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია არ განიხილოს განცხადება/საჩივარი, თუ დარღვეულია მისი შეტანის ვადა და წესი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. განუხილველად დარჩეს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ წარმომადგენლების გურამ სალაძისა და ვლადიმერ ხუბულავას საჩივარი ბათუმის №79 საოლქო საარჩევნო კომისიის ინფრომაციის გაცემის დავალდებულების თაობაზე საჩივარი გასაჩივრების წესის დარღვევის გამო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**